20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

26/01/2024 N 46

თბილისი

შპს ,,გ.ო.ნ. 2022“-ის ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61–ე მუხლის, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის N37/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე–5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 30 ივნისის N164/04 ბრძანების საფუძველზე:

1. გაუქმდეს შპს ,,გ.ო.ნ. 2022“-ის ვალუტის გადამცვლელი პუნქტის (საიდენტიფიკაციო კოდი N400342125) რეგისტრაცია სარეგისტრაციო ნომრით ვგპ-0135251, მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N32.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,შპს „გ.ო.ნ. 2022“-ის ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2022 წლის 28 ოქტომბრის N430 განკარგულება.
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ირმა ბოკუჩავა

დეპარტამენტის უფროსი
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი